წინ კიდევ დიდი გზაა გასავლელი...

ლექსები

2020 - 2024

ბორის პაიჭაძე და სერგო კოტრიკაძე

გურულების (გასაუბრება) დიალოგი

ერთხელ, ბორისი ფეხბურთის მეფე,
ბურთის კარუზო,
(ეს წოდებები მას მართლაც ერგო)
მიმართავს სერგოს:
„ბიჭო, სერგია გააქვთ გოლები, და უშვებ ბურთებს,
რად ზოგავ ძალას ან ზოგავ ღონეს,
ეს ყოველივე მწყინს და_მაღონებს!“

სერგოს გონება და ჭკუა უჭრის:
უსმენს ბორიას, ფეხბურთის ტიტანს,
ის მორჩილია - ყველაფერს იტანს:

სერგო:

ბურთი მრგვალია, ვუშვებ და ვიჭერ,
მაგრამ არ ვზოგავ ძალას და ღონეს!
ბორის ბატონო! ძელებსაც ხვდება,
რა ვქნა, ცუდია, ასედაც ხდება.....
.....
ბორისი ბრძენი, კარუზო ბურთის,
მოკლედ მოუჭრის, ცოტა ხმა უთრთის
არ გააგრძელებს სიტყვების რიალს:
„შენ იცავ კარებს არა „დინამოს“,
საქართველოს კარს - იცავ დარიალს“ !!!!!!!

06.06.20

მამას

მე დამესიზმრე სასხლავით ხელში.....

მამას, გრიგოლ (გრიშა) სვანიძეს (1912-2015)
რესპუბლიკის
დამსახურებულ აგრონომს, ღირსების ორდენოსანს

მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, და.
მამაჩემი მევენახეა

იოანეს სახარება (15:1-8)

მოხუცი მამა, მოხუცი მამა
სასხლავით ხელში დადის ვენახში.

გალაკტიონი

მიმართვა:
შენის ხელდასმით
გახარებულო ხეებო, ბუჩქო,
 პატარა ნერგო,……
ყველა მათგანის ენერგია, სიცოცხლე გერგო....

მისული მათთან, სისხამ დილით
 ყოველ ძირთან ასჯერ, ათასჯერ
 მრავალჯერ წუთით და ხშირად წამით,
თითქოსდა გქონდა მუდმივი ვალი.....
ნიადაგ იმათ გახარებაზე,
მოვლა - ზრუნვაზე გეჭირა თვალი....

უმწიკვლო იყავ, პატიოსანი-
 რამდენი ნერგი შენ გაახარე,
კალმით ან კვირტით, თუ გადაწიგნვით.....
თუ რამე იყო გაურკვეველი,
 უმალვე ხელში გეჭირა წიგნი,
 და ჩასცქეროდი ეძებდი პასუხს, შუაღამემდე.....

რამდენს ამყნიდი ვინ მოთვლის რამდენს,
ეფერებოდი, ვით შვილს, შვილიშვილს
უვლიდი ბევრსაც, კიდევ მეტს და მეტს,
და ამიტომაც მიაღწიე ოთხმოცდაცამეტს.

დღესაც ამბობენ და გიხსენებენ:
რა ნარგავები, ხილი ქებული
შენ დაუტოვე ნაცნობთ და უცნობთ,
მადლიერებით კმაყოფილები იტყვიან ხშირად
გრიშას, გრიგოლის არის გახარებული,.....

ქართული მიწის მადლი და ეშხი
ამქვეყნიური,
თან წაიყოლე შენ სამოთხეში.

 კვლავ მომელანდე დილის ცვარ-ნამში,
 იდექი ბაღში ჩიტების ჭიკჭიკ - გალობის ხმებში,
სასხლავით ხელში,.....
და მომებჯინა რაღაცა   ყელში....
მახრჩობდა მკლავდა ბოღმა ამ ქვეყნის
გამახსენდა რა ადამიანის მოკლე არსება..... წუთისოფელში.

ტყემალი, ბალი, თუ ალუბალი,
ვაშლი, ვენახი სარშედგმული, ნუში, ქლიავი,
შრომა და ჯაფა, მტერი და ავი...
წლების მანძილზე არ გაგიმართავს მუხლი და მკლავი....
კომში და .ლეღვი კაკალი, მსხალი,
ყველგან დატოვე აქ შენი კვალი.
შენ, მოსწრებულო მაღლარო ვენახის ჩერო.....
შენი სურვილი უხმოდ, უენოდ დანაბარები:
„ეს ტრადიცია გარჯა, და სწრაფვა
..... შრომა წუთითაც არ შეაჩეროთ" ..

 და განსხეულდი ხეთა შრიალში...
ყვავილთა შორის:
აქ მწვანე ღობე, ტრიფოლიატის,
აგერ ნარგავი, იქეთ მარანი,
აქეთ კი ყორე,. ნაშალი ქვებით
ჩამოქცეულა, ხვიარების   ხავსიან თმებით...
და გადაშლილა მთლიანად ეზო, ვით ფოლიანტი.

კვლავ მოგონება....ნივთები და ისევ ნარგავი,
მოუვლელობით გულის მდაგავი.....

მუდამ შრომაში თავგადაკრულს...
სიზმარი იყო თუ ცხადად გჭვრეტდი
მოჩვენებით, თუ გარდასახვით
თხილის ბუჩქებთან სასხლავით ხელში...

 დაღლილი იდექ მზენაკრავ სახით,
ჩამოგდიოდა თან ოფლის... თქეში....

არ გივიწყებენ კორომნი ტყეთა,
ხეთა რშტოები, შტოთა როკები
და შრიალებენ, ესალმებიან
შენს მისწრაფებას დაუოკებელს.

მუდმივი ღვაწლით, შრომით, რუდუნით.
...რწმენით და რიდით წყნარი დუდუნით.....
ყოველი ნერგი, ყოველი ვარჯი
 გაცოცხლებული შენი შრომით და შენი გარჯით
შენი ცხოვრება წამიერი თუ საუკუნე
შენ დაასრულე ის გამარჯვებით.

და დამესიზმრე სასხლავით ხელში...

აპრილი, 2021 წ.

ცოდნის პარადოქსი

„მხოლოდ ის ვიცი, რომ არაფერი ვიცი"
სოკრატე

ბევრს იკითხავ, მეტს გაიგებ,
ხშირად ზედმეტს იღებ ცოდნას
ალბათ სხვის ნაცვლადაც სწავლობ,?
..... თუკი არ დაიდებ ცოდვას...

რაც მეტს სწავლობ, მეტი გრჩება?
ამ კითხვაზე ფიქრობ ვინძლო,
კასრის დონის იძენ ცოდნას
თუ გონებამაც გაგიძლო...

თუმცა, ამდენ ცოდნის ზღვაში
გრჩება ცოდნა მცირე დოქის
რაც მეტს სწავლობ, ცოტა იცი.
აი, ცოდნის პარადოქსი.

მინაწერი

ზოგმა ცოტა იცის მაგრამ
მას აჩვენებს ძალზედ დიდად,

ბრძნული სიტყვა - პასუხი აქვს,
ფუტურო თუმცა იგი შიგან

გააჩნია ვინ უჯერებს,
ზოგი ცალი ყურით ისმენს,
მისი სიტყვის შინაარსი
თუ გაიგო კითხე ვისმეს?

მართლაც, ბრბოში სიტყვის ფასი
იცის? სჯერა ვინმემ განა?
მცოდნე კაცს და მსმენელს ვეძებთ
აი ჩვენი ამოცანა.

თამადას

ცნობილ თამადას ნუგზარ ნორაკიძეს

ყველა ქართველის მტერთა მტერია,
ვისაც არ ესმის სუფრის კოდექსი,
და თამადობის ამ მისტერიას
უნდა მივიძღვნა ეს ჩემი ლექსი:

რქაწითელსაც სვამ, საფერავს, პინოს,
მართლაც გაქვს ყადრი ღვინის და მუზის
სუფრაზე ყველა გსურს დააწვინო,
რომ გაიგონონ გაფრენა ბუზის.

თუმც ჭავჭავაძეს გავხარ გულბაათს,
მე კი გადარებ შედან ჭილაძეს,
უარს არ იტყვი არასდროს ალბათ,
ყანწზე, თასზე და თვით ჭინჭილაზე.

დაბადების დღე, 1 ოქტომბერი, 2008 წ

მივდივარ

მივდივარ, კარგად! აწ ვეღარ მნახავთ.....
გაჯერებული ქართული სულით,
და მოწყვეტილი ცოდვილ მიწისგან....
სად წახვალ? ცამდე აწვდები, ახვალ?
მივდივარ! ვეღარ ვასრულებ ზრახვას,
სამშობლოს ბედი აღარ მასვენებს,
რა განსაცდელი გველის ჩვენ ახლა,
ჩემს გრძნობას დღეღამ აღარ ასვენებს.....
რა მომასვენებს, რა მომასვენებს!
თვალებს ცრემლები ავსებს, ასველებს.
მივდივარ, კარგად...
-ქართულ მიწაზე ვერ ვდგავარ მყარად,
ან კი სულ აღარც დამედგომება,..
ეს ენერგია დაშრეტილია,
არ ჩანს სიცოცხლით სავსე გონება.
ყველა ვბერდებით, მივილტვით სადღაც
ვეძებთ სამოთხის ვიწრო ბილიკებს.....

ცხონება გველის, თუ ანათემა,
ვერ დავადგენთ და ვერ ვიქილიკებთ.
ყველა მივდივართ, ყველა ვბერდებით,
ვტოვებთ ამ მიწას ლოცვით, ვედრებით.....
თუმც ვერსად ვნახე ამ ქვეყნის გარდა
სხვა მხარე ტურფად ნახავერდები.
ვერ მოვასწარი ვერაფრის ხილვა,
ვიყავი ცალად....
დრო ელვისებრად, უცაბედად გამომეცალა.
.....და გულდაწყვეტით განწყობილი თქვენდამი ნდობით,
გტოვებთ, ნახვამდის, კარგად, მშვიდობით.

18.07.2019

რაც უნდა მეთქვა

რაც უნდა მეთქვა, ის უკვე ითქვა
დახარჯულია მრავალი რითმა,
რაც უნდა ითქვას ან ახლა ითქმის
თქმაც
არ სჭირდება აღსრულდა თითქმის....

და ვიმეორებთ რაც იყო, არის,
თუ არ გაისმა სიკვდილის ზარი
რაც იყო. არის და იქნებოდა
კვლავაც იწყება.....
ეს არის ლექსით თავდავიწყება,

იქნებ კარგია თეთრ ლექსთან ზავი,
როცა იწყება სიტყვათ ნაზავი....
.....
ო,გამოსულა რითმების ზვავი....
.....
მაინც რა გვინდა, ანდა რისი თქმა.....
უნდა ვეძებოთ ცინცხალი
რითმა?

მე ასე მესმის, თქვენც ასე უწყით,
ლექსი თუ იყო ურითმო უწინ?
რა არის მაშინ ურითმო ლექსი?
თუ ესღა გაკლდა რითმა დაგაკლდა..
არ ჩაითვალოს ეს ლექსის ნაკლად?

თეთრი ლექსია
არა გაქვს ლექსი?
ვინ ბრძანა, ვინ თქვა, რითმების ზღვაში....
.. თუ შეეფეთე გალაკტიონს რითმების მეფეს
მას შეუკვეთე, მას შეუკვეთე!

ქაქალაკი

ქაქალაკი: ლაზურად, ზღვის ღელვისას
ნაპირზე გამორიყული ნაფოტი.

ვუძღვნი აკაკი ბერიძეს
მიმართვა უიმედო სიტუაციის დროს

ზღვის ტალღებმა, აფოფრილმა,
ძმაო გამომრიყეს რაკი,
ცხოვრებაში არცთუ ფრთხილი,
 ნაფოტი ვარ -ქაქალაკი.

მე ცხოვრებას ზღვას ვადარებ,
მღელვარეს და ფაფარაყრილს,
გადვურჩები ამ ავდარებს,
თუ, ბედი მაქვს ქაქალაკის?

თუკი ვინმეს დაინახავ,
უმწეოს და ხელებგაწვდილს,
დაეხმარე, შეავედრე
უფალს მაღლა ცამდე აწვდილს.

თუ დაგიდეს უცებ სარმა
(როგორც ხვედრმა მე მიგანა)
თუკი გამოგრიყა ქარმა,
მეგობარი არის განა?
ისევ შეგაბრუნოს ზღვაში,
დიდხანს, დიდხანს კიდევ გაძლო,
აფრებს მაღლა ისევ აშლი
სიახლოვრე, სითბო იგრძნო,
ერთგულებას ეძმო ვინძლო,
იმედის და ნდობის განცდა
ყველა მოყვასს ჩაუნერგო!
ცუდი მოლოდინის დაცდა??
-ქაქალაკის ბედი გერგო.